**ერეკლე II ხმალი გურიაში**

მშობლები როცა ახალი სიცოვხლის დაბადებისთვის ემზადებიან, სხვადასხვა ნივთებით რთავენ პატარას ოთახს.. ამ ნივთებს შორის აუცილებლადაა ლამაზად გაფორმებული ფოტო ალბომი ..სადაც პირველი ტირილიდან ცდილობენ ყველა ფაქტი აღბეჭდონ..და ასე იწყება ისტორია.. სურათებით გადმოცემულ ამბვებს ყველა სხვადასხვა ემოციით იგონებს, და თავისი ინტერპრეტაციით ყვება . მაგრამ მთავარი ერთია ..ყველას და ყველაფერს თავისი ისტორია აქვს .. მართალია დღეს ეს ყველაფერი სოციალურმა ქსელმა ნაწილობრივ ჩაანაცვლა, მაგრამ იქაც "მემორი" ყოველდღიურად გახსენებს შენს ისტორიას.. ჩემი იტორია ასე იწყება: მე დავიბადე 2008 წელს საქართველოში..მაშინ როცა ოკუპანტმა მეზობელმა რუსეთმა მძინარე ცხინვალი, ცეცხლის ალში გაახვია, რამაც უამრავი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა..მრავალ ომგადხდილი ჩემი ქვეყნისთვის დამპყრობელთან ბრძოლა არ ახალია. ოღონდ დღეს ტყვიაწამლით გაჯერებულ საბრძოლო იარაღს იყენებენ. არადა "აზიის ლომად" წოდებულ ერეკლე მეფეს, ხმლით 60ზე მეტი ომიი აქვს მოგებული.. "მე ვარ ავი მუსაიფი კახთ ბატონი ერეკლისა " როგორც ამბობენ ერეკლეს ბევრი ხმალი ჰქონდა და იმ დროს დიდ პატივად ითვლებოდა მეფისგან ხმლის ბოძება.. სწორედ ერთერთი ხმალი "მეფემან ერეკლე ი.დადიანს ვუძღვენი" გურიაში ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახებოდა ვიდრე გიორგიევსკის ტრაქტატის აღსანიშნავად თელავის მუზეუმმა ითხოვა და უკან აღარ დააბრუნა.. ამ ხმალს თავისი ისტორია აქვს.. ერთერთი თქმულებით თითქოს მეფე ერეკლემ, ხმალი მის სიმამრს სამეგრელოს მაშინდელი ოდიშის, მთავარს კაცია დადიანს გაუგზავნა ნიშნისმოგებით თუ პატივისცემით არავინ იცის. და 1841 წელს აჯანყებულ გურულებთან ბრძოლაში დამარცხების შემდეგ აწ უკვე დავით დაიანის პირად მფლობელობაში მყოფი ერეკლეს ხმალი ჩოხატაურის მკვირი აზნაური დ .ბერიძის ოჯახში აღმოჩნდა და 100 წლის განმავლობაში ინახებოდა.ვიდრე 1941 წელს ოზურგეთის მუზემმა 500 მანეთად შეიძინა .. მაგრამ მთავარი, მართლა ვის უბოძა ერეკლემ ხმალი და ვინ იყო წარწერაზე მოხსეიებული ი. დადიანი ისტორიის ფურცლებმა ვერ შემოგვინახა. თუმცა ასეთ ჯილდოს თუ ძღვენს მეფიდან მხოლოდ გამორჩეული ადამიანები იმსახურებდნენ.. ვინაა ი. დადიანი?!.. გავაბრძელოთ საქართველოს ისტორია...

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ცხემლისხიდის საჯარო სკოლა.